Tariel Putkaradze /Tbilisi.Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia/

Mikheil Labadze /Tbilisi.Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia/

Tamar Lomadze /Tbilisi.Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia/

Lia Otanashvili /Sokhumi State University/

**Teaching Georgian Based on Georgian National Corpus:
Problems and Prospects
S U M M A R Y**

The aim of the work is to define the linguistic corpus role in language teaching. The examples show that there is a close connection between the corpora and language teaching. It is clear, that corpus source has the great potential to improve the pedagogical practices during the teaching and learning process.

It should be noted that language handbooks made according to the linguistic corpora are more effective. Linguists think that soon electronic corpora will be the only source in the process of creating learning materials.

ელენე ჟერარდენი /პარიზი, აღმოსავლურ ენათა და ცივილიზაციათა ნაციონალური ინსტიტუტი/

ქართული ზმნური მორფოსინტაქსის სწავლების საკითხები: ორი სირთულე და რამდენიმე შეთავაზება

კარგა ხანია, რაც ქართული ენა არაქართულენოვან პირებს ხიბლავს. მისი თავისებურებები და ევროპული ენებისგან განსხვავებულობა იყო ის, რამაც თავდაპირველად განსაკუთრებით ენათმეცნიერები დააინტერესა. დღეს ქართული ისეთ ადამიანებსაც იზიდავს, რომლებსაც პირადი ურთიერთობები აქვთ საქართველოსთან და ამის გამო სჭირდებათ ენის შესწავლა. ზემოთ განხილული ორივე სახის მოსწავლეები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან არა მარტო მიზნებით, არამედ პროფილური თავისებურებებითა და უცხო ენის შესწავლისადმი მეთოდოლოგიური კომპენდენციით. ამ გაფართოებულ კონტიგენტს უდავოდ ესაჭიროება ქართული ენის სწავლების ახალი, მარჯვედ შერჩეული მეთოდიკა, ურომლისოდაც ყოველ დაინტერესებულ პირს უზარმაზარი სირთულეების წინაშე აყენებს.

ქართული ენის შესწავლის პროცესში ხშირად ისმის ორი მოსაზრება. ჯერ ერთი, ბევრი თვლის, რომ ქართულის მაღალ დონეზე ცოდნა შეუძლებელია ან კიდევ ამბობენ, რომ ოდესმე ქართულის გაგებას შეძლებენ, მაგრამ ვერასდროს ისწავლიან მას. მეორე მხრივ, ენის შესწავლის ბევრი მსურველი ამტკიცებს, რომ ქართულის სწავლას ვერ ახერხებენ იმიტომ, რომ პედაგოგებს ვერ აგებინებენ თავიანთ პრობლემებს და პედაგოგები ვერ ამართლებენ მოსწავლეთა მოლოდინს.

საინტერესოა, რატომაა ქართული ენა ასე რთული შესასწავლი და როგორ შეიძლება სწავლების პროცესში წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტა. ამ საკითხის ფარგლებში დავინტერესდით რამდენიმე მოსწავლის გამოცდილებათა შედარებით. წინამდებარე სტატიის მიზანია არამკვიდრი მოლაპარაკის მოკრძალებული წვლილის შეტანა ქართული ენის სწავლების მეთოდების გაუმჯობესებაში. ქართული ენა ნულიდან ვისწავლეთ¹ და ამის შემდეგ, ქართული ენის გაკვეთილების ჩატარებაც დავიწყეთ ფრანგულენოვან მოსწავლეებთან. იმედია, ჩვენ

¹ აღმოსავლურ ენათა და ცივილიზაციათა ნაციონალური ინსტიტუტი (ინალკო) დავამთავრეთ პარიზში და დიდ მადლობას ვუხდით ქალბატონ დომინიკ გოტიე-ელიგულაშვილს, ქალბატონ ნანა მეტრეველს და ქალბატონ თამარ მახარობლიძეს, რომლებმაც ქართული ენის შესწავლის შესაძლებლობა მომცეს. დიდ მადლობას ვუხდით თამარ ლომამქვასაც, რომელმაც დიდი დახმარება გააკვიწა ამ სტატიის რედაქტირების საქმეში.

მიერ ამ საკითხის უცხო თვალთ გაანალიზება საინტერესო პერსპექტივებს გახსნის. ამ ნაშრომში ჩვენ განვიხილავთ ორ სირთულეს, რომლებიც მოსწავლესა და მასწავლებელს ხვდება სწავლისა და სწავლების პროცესში. პრობლემების წარმოდგენის შემდეგ რამდენიმე რჩევასაც შევთავაზებთ მკითხველს მათ გადასაწყვეტად.

ცნობილი ფაქტია, რომ ქართულ ენაში ურთულეს ნაწილს ზმნის მორფო-სინტაქსი წარმოადგენს. ამ სტატიაში ყურადღებას გავამახვილებთ ორ კონკრეტულ სირთულეზე, ესენია ზმნის მრავალპირიანობის მექანიკური ფლობა და ზმნის აქტანტების (სუბიექტის და ობიექტების) სწორი ბრუნვის არჩევა.

1. ზმნის მრავალპირიანობა

თავდაპირველად წარმოვადგენთ პრობლემებს და შემდეგ კი ვიმსჯელებთ მათი გადაჭრის გზებზე.

1.1. პრობლემა:

ტერმინით “მრავალპირიანობა“ (ან პოლიპერსონალიზმი) აღინიშნება ის თავისებურება, რომლითაც ზმნა ეთანხმება რამდენიმე აქტანტს, ე.ი. იგი იულვლის არა მარტო სუბიექტის, არამედ პირდაპირი და ირიბი ობიექტების მიხედვითაც. მოვიყვანოთ ერთი მაგალითი:

- (1) ის უენ გ-ხედავ-ს
ო-ბ-ზმნა-სუბ

მსოფლიო ენათა დიდ ნაწილს პოლიპერსონალიზმი არ ახასიათებს:

- (2) [რუსული]

	-	
ზმნა-სუბ		Ø
	ობ	

- (3) [ინგლისური]

	see-s		you	
he				Ø
	ზმნა-სუბ			ობ

ამგვარად, ეს მოვლენა ხშირად ქართული ზმნის თავისებურებად ითვლება მიუხედავად იმისა, რომ ის არა მარტო ქართულს ახასიათებს. აქედან გამომდინარე, ის, ვინც ამ სისტემას არ არის შეჩვეული, უზარმაზარი სირთულეების წინაშე დგება.

სინამდვილეში ეს სისტემა ადვილადაა გასაგები, რადგანაც თავისი ლოგიკა აქვს. პრობლემები უფრო პრაქტიკაში ჩნდება, იმიტომ რომ, ჯერ ერთი, ეს არის გონებისთვის ძალიან განსხვავებული სავარჯიშო.

მეორე მხრივ, ამ ძირითად წესებს ემატება პირთა კომბინაციის თავისებურებებიც. ესენია, მაგალითად:

- (4) როცა პირველი სუბიექტური პირის ნიშანი და მეორე ობიექტური პირის ნიშანი ერთმანეთს ხვდება, პირველი ნიშანი ვარდება:

გ- + გ- = გ-, მაგ. მე შენ გ-ნახავ (*გ-გ-ნახავ)

(5) თუ მრავლობითის ორი სუფიქსი -თ მოსალოდნელია ზმნის ფორმის ბოლოს, მხოლოდ ერთი გამოიხატება:

-თ + -თ = -თ, მაგ. ჩვენ თქვენ გი-ცნობ-თ (*გი-ცნობ-თ-თ)

ამ ტიპის წესები არაქართულენოვანისთვის უკვე აღარ არის ინტუიციური.

პოლიპერსონალური უღლების ასახსენლად, პედაგოგები ხშირად გამოიყენებენ ისეთ ცხრილებს, რაც, ჩვენი აზრით, ძალიან საინტერესო და სასარგებლო მოდელია:

ობ. სუბ.	1 მხ.	2 მხ.	3 მხ.	1 მრ.	2 მრ.	3 მრ.
1 მხ.						
2 მხ.						
3 მხ.						
1 მრ.						
2 მრ.						
3 მრ.						

ცხრილი 1: პირთა კომბინაციები თანამედროვე ქართულში ასეთი ცხრილები მოსწავლეებს მთელი სისტემის ერთი ხედვით გაგების შესაძლებლობას აძლევს. უასურველია, მათ გაიზებინონ ეს ცხრილი.

1.2. შეთავაზებული მეთოდი

როგორ გავაიოლოთ პირთა კომბინაციების ფლობა? ჩვენი აზრით, ამ პრობლემის გასაღები პრაქტიკაში ძვეს, ერთი სიტყვით სავარჯიშოებში. ენის შემსწავლელებს სჭირდებათ მექანიკური სავარჯიშოები, მარტივი ფორმით, მარტივი წინადადებებით. ასეთი სავარჯიშოების ორ მაგალითს გთავაზობთ ქვემოთ.

1.2.1. შესავსები ცხრილები

ამ პრინციპით გაკეთებული სავარჯიშოების ბაზა ზემოაღნიშნული უღლების ცხრილებს წარმოადგენს. სავარჯიშოში კერძო ზმნის ერთი ფორმაა მოცემული და

მთელი ცხრილი მოწაფის მიერ არის შესავსები. მოვიყვანოთ ორი მაგალითი:

სავარჯიშო 1: შეავსეთ შემდეგი ცხრილი მოცემული ზმნის სწორად შეუღლებული ფორმებით:

ობ. / სუბ.	1 მბ.	2 მბ.	3 მბ.	1 მრ.	2 მრ.	3 მრ.
1 მბ.						
2 მბ.						
3 მბ.				გაწერს		
1 მრ.						
2 მრ.						
3 მრ.						

ცხრილი 2: სავარჯიშოს მაგალითი

სავარჯიშო 2: შეავსეთ შემდეგი ცხრილი მოცემული ზმნის სწორად შეუღლებული ფორმებით:

ობ. / ებ.	1 მბ.	2 მბ.	3 მბ.	1 მრ.	2 მრ.	3 მრ.
1 მბ.						
2 მბ.						
3 მბ.						
1 მრ.						
2 მრ.						
3 მრ.		გჭირდება				

ცხრილი 3: სავარჯიშოს მაგალითი

მართალია, რომ ასეთი სავარჯიშოები შეიძლება მოსაწყენი ჩანდეს, მაგრამ მათი წარმატებული შედეგები სწორედ გამეორებაში მდგომარეობს. როდესაც მოწაფე ზმნის ფორმებს თვითონ აწარმოებს და იმეორებს, გაცილებით ადვილად გაიზებირებს კიდევ. მისი გონება ნელ-ნელა ეჩვევა ამ ახალ ენობრივ სისტემას, მრავალპირიანი უღლება თანდათან ავტომატური ხდება და, როგორც დავაკვირდით, რამდენიმე კვირაში ნებისმიერ ზმნის სწორ ფორმას აწარმოებს.

როგორც კი მორფოლოგია გასაგები ხდება, შეიძლება ამ ფორმების ნამდვილ კონტექსტებში გამოყენება.

1.2.2. მარტივად საწარმოები ზმნური ფორმები

ჩვენი შემოთავაზებული სავარჯიშოების მეორე ტიპი მცირე ზომის მარტივი წინადადებებისგან შედგება, რომლებშიც ზმნის ფორმა არის საწარმოები. აქ ყურადღებას ერთ მნიშვნელოვან პრინციპზე გავამახვილებთ: მოყვანილი წინადადებები უნდა იყოს მოკლე და მარტივი ლექსიკით შედგენილი.

სამუშაოდ, მასწავლებლებს ხშირად ავიწყდებათ, რამდენად რთულია ქართული ლექსიკის შესწავლა. ქართული სულ სხვა ენათა ოჯახს ეკუთვნის, აქედან გამომდინარე ფუძეები და აფიქსები ძალიან განსხვავდება იმისგან, რაც მოსწავლის გონებაში უკვე არსებობს. ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა მოსწავლეები ვერ ახერხებენ პასუხების გაცემას იმის გამო, რომ წინადადებების შინაარსსაც კი ვერ ხვდებიან. ისენი იბნევიან, თავდაჯერებას კარგავენ და არაფერი გამოსდით. ამიტომ, რადგანაც ესეთი სავარჯიშოები შეეხება ენის გრამატიკულ სისტემას, მოსწავლის მთელი ყურადღება სწორედ გრამატიკას უნდა დაეთმოს. ლექსიკას კი ნელ-ნელა აითვისებენ, ამ წინადადებების გამეორებით. გარდა ამისა, სასურველია ისეთი ფორმების არჩევა, რომლებიც ხშირად გამოიყენება სასაუბრო ენაში. ეს ხელს შეუწყობს მოსწავლის მიერ ამ ფორმების ყოველდღიურ მეტყველებაში უფრო სწრაფად გააქტიურებას. მაგალითად: მომეცი, მითხარი, დაგირეკავ... მართლაც ფორმა დაგირეკავ-ს ბევრჯერ ვიყენებთ დღის განმავლობაში, ხოლო ისეთი ფორმა, როგორცაა დამირეკავ ან მწერთ გაცილებით ნაკლებად გვხვდება. ამიტომ კარგი იქნება, რომ ყურადღება მიექცეს თავიდან ყველაზე ხშირად გამოყენებულ ფორმებს და მერე — სხვებს.

აღნიშნული შენიშვნები შეჯამებულია შემდეგ მაგალითებში:

სავარჯიშო 3: შეავსეთ შემდეგი წინადადებები მოცემული ზმნების სწორი ფორმებით:

1. დედა პურს (დაჭრა)
2. ბავშვები ჩვენ (ხელვა)

3. მეტროთი მოგზაურობა შენ..... (დაღლა)
 4. ღია ჩანგლებს მაგიდაზე (დადება)
 5. ნიკო მეგობარს წერილს (დაწერა)
- (ქცევასთან კომბინაციით):
6. ხვალ მე შენ (დარეკვა)
 7. მე და გიორგი თქვენ დაბადების დღეს

(მილოცვა)

როგორც აღვნიშნეთ, მრავალპირიანობა ერთ-ერთი დიდი სირთულეა ქართულში. ქვემოთ განვიხილავთ კიდევ ერთ სირთულეს - ე.წ. აქტანტების მარკირებას.

2. აქტანტების მარკირება

როგორც აღვნიშნეთ, ტერმინი აქტანტი აერთიანებს სამივე ელემენტს, რომელსაც კავშირი აქვს ზმნასთან. ქართულში ესენია სუბიექტი, პირდაპირი და ირიბი ობიექტი.

2.1. პრობლემის წარმოდგენა

ქართულში აქტანტები შესაძლოა მითითებული იყოს სახელობითში, მოთხრობითში ან მიცემითში ან კიდევ წარმოდგენილი იყოს -თვის/-თან თანდებულებით. ბრუნვის არჩევანი უშუალოდ დროსა და ზმნის ტიპზეა დამოკიდებული, რაც ქვემოთ მოყვანილ მაგალითებშიც ჩანს:

- | | | |
|--------------|----------------|--------------|
| ა. ბავშვი-ი | შოკოლად-ს | ჭამ-ს. |
| სუბ.-სახ | პ.ობ.-მიც | [ამყო დრო] |
| ბ. ბავშვი-მა | შოკოლად-ი | შე-ჭამ-ა. |
| სუბ.-მოთხ | პ.ობ.-სახ | [ნამყო დრო] |
| გ. ბავშვი-ი | მეგობარ-ს | შე-ხვდ-ა. |
| სუბ.-სახ | ი.ობ.-მიც | [ნამყო დრო] |
| დ. ბავშვი-მა | მეგობარ-ს | ვაშლ-ი |
| სუბ.-მოთხ | ი.ობ.-სახ | პ.ობ.-სახ |
| ე. ბავშვი-ს | მეგობარის-თვის | ვაშლ-ი |
| სუბ.-მიც | ი.ობ.-თვის | პ.ობ.-სახ |
| | | [თურმეობითი] |

სხვა ენებს, რომლებსაც უმრავლესობა ფლობს, ეს თავისებურება ნაკლებად ახასიათებს:

(7) [რუსული]

- ა. ბავშვი (სახ. ბრ.) ხედავს და - (ბრალდ. ბრ.)
« ბავშვი (თავის) დას ხედავს. »
- ბ. ბავშვი (სახ. ბრ.) ნახა და - (ბრალდ. ბრ.)
« ბავშვი (თავისი) და ნახა. »
- გ. - .

- ბავშვი (სახ. ბრ.) უყვარს და - (ბრალდ. ბრ.)
 « ბავშვს (თავისი) და უყვარს. »
 დ. - .
 ბავშვი (სახ. ბრ.) შეხვდა და - (ბრალდ. ბრ.)
 « ბავშვი (თავის) დას შეხვდა. »

ეს მოვლენა მართლაც ცოტა ენებისთვისაა დამახასიათებელი და სწორედ ეს არის ქართული ენის შესწავლის ერთ-ერთი მთავარი სირთულე.

2.2. ანალიზები და შეთავაზებები

აღნიშნული საკითხი ხშირად უკავშირდება სერიებსა და მწკრივებს. უღლებს ეს ტიპიც ძალიან თავისებური და სრულიად ახალია ნებისმიერი მოსწავლისთვის. მართალია, საკმაოდ ძნელი გასაგებია მაგრამ, ჩვენი აზრით, მთავარი პრობლემა ზმნების დაჯგუფებებში და, უფრო სწორად, ზმნების დაჯგუფების ცუდ წარმოდგენაში მდგომარეობს.

ქართული ენის შემსწავლელნი ხშირად აღნიშნავენ, რომ სახელმძღვანელოებში ზმნათა განსხვავებული ჯგუფები ნათლად არ არის წარმოდგენილი და ამის გამო სუბიექტის და ობიექტების ბრუნვის სწორად არჩევა ხშირად უჭირთ. აქ გვხვდება ორი პრობლემა: თეორიული პრობლემა და პრაქტიკული პრობლემა.

2.2.1. თეორიული პრობლემა

თეორიის თვალსაზრისით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ საზღვარი ზმნათა ჯგუფებს შორის - კერძოდ, ე.წ. მოქმედებითსა და მედიო-აქტიურ ზმნებს შორის - უკეთ უნდა იყოს ახსნილი.

მოვიყვანოთ ერთი კონკრეტული მაგალითი. აწმყო დროში **ვსაპოვებ და ვმუშაობ** ფორმები მორფოლოგიურად ძალიან ჰგავს ერთმანეთს და ხშირად ერთად არის კიდევ განხილული. მაგრამ ამ შემთხვევაში, მოწაფემ როგორ უნდა გაიგოს, რომ ნამყო დროში, მნიშვნელოვანი განსხვავებები ჩნდება? ამას ადასტურებს მაგალითი (8). პირველ ნაწილში ((8)ა.) ხაზგასმულია მსგავსი მორფემები, მეორეში კი — ((8)ბ.) გაჩენილი განსხვავებები.

(8) ა. [აწმყო დრო] ვ-სპ-ობ ვ-მუშა-ობ

ბ. [ნამყო დრო] მო-ვ-სპ-ე ვ-ი-მუშავ-ე + ა-ვ-მუშავ-დ-ი

ასეთი შემთხვევა ცხადყოფს, თუ რაოდენ საჭიროა ამ რთული სისტემის სწორი თეორიული ახსნა. ამ მკაცრი და ნათელი წარმოდგენის გარეშე, მოსწავლე დაიბნევა. ან გაგება დაეზარება ან, თუ ძალიან მოინდომებს, რამდენიმე ფორმას კი დაიმახსოვრებს, მაგრამ ახალ კონტექსტებში დამოუკიდებლად ახალი ფორმების შექმნა ძალიან გაუჭირდება. ამ პროცესის

გასაიოლებლად, მასწავლებლებს ვურჩევთ ცხრილების გამოყენებას. კარგი იქნებოდა, ყველა ზმნური ჯგუფისთვის, აქტანტების ბრუნვის წესების ნათლად ჩამოყალიბება. მაგალითად, გარდამავალი მოქმედებითი ზმნების (წერა) პარადიგმის სწავლებისას, შეიძლება მსგავსი ცხრილის გამოყენება:

(9) [აწმყო] **სუბ** (სახ) **ი.ობ** (მიც) **პ.ობ** (მიც)
 [ნამყო] **სუბ** (მოთხრ) **ი.ობ** (მიც) **პ.ობ** (სახ)
 [თურმეობითი] **სუბ** (მიც) **ი.ობ** (თანდებ.) **პ.ობ**(სახ) >>

ამ მოდელით იუღლება (და)წერა, (და)ნატვა, (ვა)რეცხვა, (შე)ჭამა...

საერთოდ ცხრილები იმითაა კარგი, რომ ერთი შეხედვით სახეზეა მთელი სისტემა. ამიტომაც, ჩვენი გამოცდილებიდან გამომდინარე, ასეთი სქემები ძალიან საჭიროა.

გარდა ამისა, კარგი იქნებოდა თავიდან აცილება ისეთი ტერმინებისა, როგორიცაა “მოქმედებითი” და “ვნებითი“. ამ ტერმინებს სულ სხვა მნიშვნელობა აქვს სხვა ენებში და ეს ბევრ გაურკვევლობასა და დაბნეულობას იწვევს. ამგვარად, ტერმინებიდან გამომდინარე, მოწაფეები ვერ იგებენ, რატომ უნდა ჩაითვალოს ვნებითად ისეთი ზმნები, როგორიცაა ვთბები, ვიკბინები, ვხვდები.

თუ თეორია ამ კუთხით დაიხვეწება, ენის სწავლა და სწავლება აშკარად გაიოლდება.

2.2.2. პრაქტიკული პრობლემა

და ბოლოს, რაც შეეხება პრაქტიკას, გავიმეორებთ, რომ სავარჯიშოები აქაც საჭიროა, ერთი და იმავე პრინციპებით, როგორც ამ სტატიის პირველ ნაწილში აღვნიშნეთ, ე.ი. მოკლე წინადადებებითა და მარტივი სიტყვებით. ჯერ შეიძლება გაკეთდეს ასეთი სავარჯიშოები:

სავარჯიშო 4: შეავსეთ შემდეგი წინადადებები სწორი ბრუნვის ნიშნით:

1. ბავშვ .. შოკოლად .. ჭამს.
2. ბავშვ .. შოკოლად .. შეჭამა.
3. ქალ .. მეგობარ .. შეხვდა.
4. მასწავლებელ..... ბიჭ..... წიგნ..... მიუცია.
5. დედაშენ..... მეზობელ..... რა..... უთხრა?

მერე, ყველა ამ სავარჯიშოების სახე შეიძლება გავაერთიანოთ ისეთ ტიპის სავარჯიშოებად, როგორიცაა, მაგალითად:

სავარჯიშო 5: გადაწერეთ შემდეგი წინადადებები ნამყო დროში (შესაბ. თურმეობითში):

1. ბავშვი შოკოლადს ჭამს.

2. ქალი მეგობარს ხვდება.
3. მასწავლებელი ბიჭს წიგნს აძლევს.
4. დედაშენი მეზობელს რას სთხოვს?
5. ჩემს მეგობრებს ვერ ვხედავ.

შესაძლებელია სათარგმნი დავალებების შეთავაზებაც. ძირითადი პრინციპი არის, კიდევ ერთხელ, მოკლე წინადადებები და ხშირად გამოყენებული ლექსიკა, რათა მთელი ყურადღება გრამატიკას დაეთმოს.

ამრიგად, სტატიაში განვიხილეთ ორი სირთულე, რომელიც ქართული ენის სწავლისა და სწავლების პროცესებში გვხვდება. როგორც მოსალოდნელი იყო, პრობლემები სწორედ ზმნურ სისტემას შეეხებოდა; კერძოდ, მრავალპირიანობასა და ზმნის აქტანტების მარკირებას. აღნიშნული სირთულეები მოსწავლეებს პრობლემებს უქმნის სწორედ იმის გამო, რომ, ჯერ ერთი, გრამატიკის განსაკუთრებულად რთული საკითხებია და მეორეც იმიტომ, რომ ისინი ქართული ენის თავისებურებებია. ეს პრობლემები აღვწერეთ, როგორც მოსწავლის, ისე მასწავლებლის თვალსაზრისით. კერძოდ, შევეცადეთ გვეჩვენებინა თეორიული გაუგებრობები, შესაბამისად, გრამატიკის წესების ასახსენლად რამდენიმე აზრის გაზიარება მოგვიხდა. მოხსენების და სტატიის მნიშვნელოვანი ნაწილი პრაქტიკასაც დავუთმეთ. ქართული ენა ისეთი რთულია, რომ ბევრ პრაქტიკას მოითხოვს. ამიტომაც, სავარჯიშოების რამდენიმე მოდელი წარმოვადგინეთ.

ნათელია, რომ ქართული ენა განსაკუთრებით რთული სასწავლია, როგორც მეორე ენა, თუმცა მეორე მხრივ, აშკარაა, რომ მისი სწავლების გაიოლება შესაძლებელია. ვისურვებდით, რომ ჩვენ მიერ წარმოდგენილი მასალის ანალიზი და შემოთავაზებები დაეხმაროს ყველას, ვინც ამ საკითხებზე მუშაობს.

დამოწმებული ლიტერატურა:

- დ. გოტიე-ელიგულაშვილი და ნ. მეტრეველი, 2007-2012** - დ. გოტიე-ელიგულაშვილი და ნ. მეტრეველი, ქართული გრამატიკის ლექციების მასალა (პირველი კურსიდან მეხუთე კურსამდე), ინალკო, პარიზი, 2007-2012 ;
- თ. მახარობლიძე 2003** - თ. მახარობლიძე, Basic Georgian, LINCOM Practical Language Courses 01 (მეორე გამომცემლობა), 2003;
- ნ. შავთვალაძე 2006-2009** - ნ. შავთვალაძე, ბილიკი (I-II), ქართული ენის სახელმძღვანელო, ლეგა, თბ., 2006-2009;

- ა. შანიძე 1973 - ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973;
- კ. ჩხენკელი 1958 - კ. ჩხენკელი, Einführung in die georgische Sprache, Amirani Verlag, ციურინი, 1958.

Hélène Gérardin /Paris, National Institute of Oriental Languages and Civilizations/

Problems of Teaching Georgian Verbal Morphosyntax: Two Difficulties and Some Suggestions

Summary

The main problem of acquisition of Georgian as a second language is that the structure of this language is very different from that of the languages spoken by the majority of learners. As a consequence, it is very difficult for students to recognize common features and be able to draw upon these similarities. The aim of this paper is to share the double experience of learning and teaching Georgian in order to extract some general principles. We focus our attention on two elements which constitute the origin of common mistakes made by the students: the polypersonal conjugation and the marking of core arguments (subject, direct and indirect objects). In both cases, we describe the situation and explain why it is difficult for non-Georgians to understand and assimilate these features. In addition, we propose a few suggestions in order to simplify the acquisition of these rules. Besides useful tips, we also offer sample exercises. The presented analyses and materials intend to contribute to the development of methods of teaching Georgian as second language.

რეცენზია:

პროფ. ნომადი ბართაია

ტარიელ ფუტკარაძის “ქართველოლოგიის შესავალი“

ჩვენს ხელთ არის საკმაოდ დიდი მოცულობის, ღრმამეცნიერულ დონეზე დაწერილი წიგნი „ქართველოლოგიის შესავალი“, რომლის ავტორი გახლავთ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე. სანამ ეს ნაშრომი გამოჩნდებოდა, დაიდო 17 ტომი საერთაშორისო სამეცნიერო კრებულისა — „ქართველური მემკვიდრეობა“.

რა საერთო აქვს ამ ორ მოვლენას ერთმანეთთან (მოვლენა შემთხვევით არ წამოძვინია)?

მათ ერთმანეთთან ის საერთო აქვთ, რომ „ქართველური მემკვიდრეობის“ 17 ტომის გამომცემელი და რედაქტორი გახლავთ სწორედ ტარიელ ფუტკარაძე, ხოლო „ქართველოლოგიის შესავალი“, შეიძლება ითქვას, ეფუძნება ყველა იმ მეცნიერულ სიახლეს, რომლებიც ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში აისახა „ქართველური მემკვიდრეობის“ 17 ტომში.

ტარიელ ფუტკარაძე 1993 წელს ჩაუდგა სათავეში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტს და თავის გარშემო შემოიკრიბა მეცნიერული საქმის ერთგული ადამიანები, რომლებიც დღეს, შინაურულ წრეში, „ტარიელის ფუტკარებად“ არიან ცნობილნი.

ღიახ, შეიქმნა ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტი და დაიწყო მეტად ნაყოფიერი კვლევითი სამუშაოები, რომლებიც წარმატებით გრძელდება დღემდე; აქვე შევნიშნავ, რომ ტარიელ ფუტკარაძე, როგორც ფართო ღიაპაზონის მქონე მეცნიერი, არ შემოიფარგლა ოდენ დიალექტოლოგიური თემატიკით და მისმა ინტერესებმა თანდათან ქართველოლოგიის სფეროს თითქმის მთელი სპექტრი მოიცვა.

ტარიელ ფუტკარაძემ, ინსტიტუტის დაარსების დღიდანვე, საფუძველი ჩაუყარა ყოველწლიურ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და მათ ბაზაზე - სამეცნიერო შრომების კრებულ „ქართველური მემკვიდრეობას“, რაც გასული საუკუნის მძიმე 90-იან წლებში დიდი გარჯის ფასად უჯდებოდა.

მქონდა ბედნიერება, მონაწილეობა მიმეღო ქართველოლოგთა ამ მაღალი საერთაშორისო ფორუმების - ქუთაისური საუბრების - მუშაობაში, რომლებიც წლების განმავლობაში იმართებოდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ვყოფილიყავი მოწმე, თუ როგორ ყალიბდებოდა ახალი მეცნიერული აზრი ქართველოლოგიაში; ეს აზრი იბეჭდებოდა “ქართველურ მემკვიდრეობაში”. სწორედ “ქართველურ მემკვიდრეობაში” აპრობირებული სამეცნიერო გამოკვლევების ბაზაზე შეიქმნა პროფესორ ტარიელ ფუტყარაძის მონოგრაფია: “ქართველები”, რომელსაც დაეფუძნა სტუდენტთათვის გამიზნული სახელმძღვანელო: „ქართველოლოგიის შესავალი“.

აღნიშნული ნაშრომი სრულად აირეკლავს ქართველოლოგიის ბოლოდროინდელ მეცნიერულ მიღწევებს, რაც უაღრესად აქტუალურს ხდის მას. წიგნი უპრეცედენტოა იმით, რომ მრავალი მიმართულებით მოიცავს ქართველოლოგიის პრობლემების ანალიზს. პრობლემები კი იწყება ქართველთა თვითსახელწოდების განხილვიდან და მოდის დღემდე. ესენია: ქართველთა ეთნოგენეზისი, ქართველთა სახელმწიფოებრიობა, საერთო ქართველური ენა, ქრისტიანობამდელი არაქართული რელიგიები და კულტურა, ხელოვნება, ქართული ანბანის შექმნა, ქართული კულტურის უძველესი ცენტრები, ქართული ხელნაწერები, ქართული მწერლობის ძირითად ტენდენციები, საზღვარგარეთის ქართველოლოგიური ცენტრები, ენობრივი სიტუაცია დღევანდელ საქართველოში და უამრავი სხვა, რომელთა უბრალო ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა.

მკვლევარი მეცნიერული არგუმენტებით დამაჯერებლად ავითარებს თავის აზრს პრობლემურ საკითხებზე, რომელთაგან გამოვყოფდი ორს; ესენია: „ქართიზაცია“ და „სამი ქართველური ენის“ თეორია. მათ საფუძველზე, როგორც წიგნის ავტორი წერს, ჯერ კიდევ მეფის რუსეთში შემუშავებული ანტიქართული დეზინფორმაციული მანქანა დღესაც მუშაობს და საქართველოს - დაშლილად, ქართველებს კი სხვადასხვა ეთნოსებად წარმოადგენს.

არსებობს სამასორმოცმილიონიანი არაბული ეთნოსი, ოცდაორი ქვეყნით და ამ ქვეყნებში შემავალი მშობლიურ არაბულზე მეტყველი ხალხით. მიუხედავად იმისა, რომ საგრძნობლად არის დაშორებული ერთმანეთისგან ამ ქვეყნების ხალხთა მეტყველება - ზოგ შემთხვევაში, არამცთუ გაგებინების მომენტი, ნათესაური კავშირიც

კი წაშლილია, მათ მაინც არაბული ენის დიალექტები ეწოდება, რომელთაც აერთიანებს სალიტერატურო არაბული.

მარტივად დავსვამ კითხვას: თუ სამასორმოცმილიონიან არაბ ერს, ასე ვთქვათ, ყოფნის ერთი არაბული ენა (ერთადერთია მალტა, რომელიც 2003 წლიდან ევროკავშირის წევრი გახდა და რომლის სახელმწიფო ენაა მალტური და ინგლისური, რელიგია კი კათოლიციზმი), ჩვენთვის, ლამის სამ მილიონამდე დასული ქართველი ერისათვის, რატომ არ უნდა იყოს საკმარისი ერთი ენა?

პასუხი მარტივია: მიზეზი არის ცრუმეცნიერული ქართიზაციის თეორია, რომლის მიხედვითაც ქართული ეთნოსი არა - ერთ მთლიან ერთეულად, არამედ დანაწევრებულად არის წარმოდგენილი. ამ ანტიქართული თეორიის მიზანი „დაყავი და იბატონეს“ პრინციპიდან გამომდინარეობს.

ტარიელ ფუტკარაძე, როგორც მეცნიერი და, ამავე დროს - სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანი, არგუმენტირებულად საუბრობს იმ საფრთხეებზე, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს ზემოხსენებულ თეორიებს.

არადა მაშინ, როცა ჯერაც დადგენილი არ არის, თუ სად გადის ზღვარი ენასა და დიალექტს შორის და თავისუფლად შეგვიძლია მეგრულსა თუ სვანურს ვუწოდოთ დიალექტი, განშტოება, კილოკავი ან ამ სახის სხვა სახელი, რატომ ვირჩევთ მხოლოდ ხიფათის შემცველ ტერმინს? იმაში, თუ რატომ არის ეს „ქართიზაციის“ თეორიასთან ერთად ხიფათის შემცველი, მკითხველი დარწმუნდება, როცა გაეცნობა „ქართველოლოგიის შესავლის“ შემდეგ თავს: „საერთოქართველური ენა და ქართველთა სამწიგნობრო ენა, როგორც ქართველთა დედაენა“.

საქართველო ოდითგანვე აზიისა და ევროპის საზღვარზე მდებარე ქვეყანაა. ქართული კულტურა არ მიეკუთვნება მხოლოდ ერთს ან მეორეს. იგი ორი სამყაროს, ორი ცივილიზაციის სინთეზია. მკვლევარს კარგადა აქვს ეს გააზრებული და ამ ჭრილში განიხილავს ქართულ ფენომენს.

ტარიელ ფუტკარაძის 500-გვერდიანი „ქართველოლოგიის შესავალი“, მიუხედავად იმისა, რომ მასში შეიძლება ზოგი რამ ვინმესთვის საკმათო იყოს, დიდი შენაძენია ქართველოლოგიისათვის.

26. 03. 2014.

წერილი:

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ დავით უსუფაშვილს

ბატონო დავით

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ორგანიზებით 2014 წლის 19 ნოემბერს ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: **“ენასთან დაკავშირებული საკანონმდებლო საკითხები და ენობრივი პოლიტიკა საქართველოში“**. კონფერენცია მიზნად ისახავდა ენობრივი პოლიტიკის მიმართულებით საქართველოს უნივერსიტეტებსა და კვლევით ცენტრებში დაგროვილ სამეცნიერო კვლევა-გამოცდილებათა ერთმა-ნეთისთვის გაზიარებას, პრობლემურ საკითხებზე მსჯელობას და საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის რეკომენდაციების შემუშავებას.

კონფერენციაზე პერსონალურად მოწვეული იყვნენ წამყვანი საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო ცენტრების სპეციალისტები, საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელები, პარლამენტისა და მთავრობის წარმო-მადგენლები; კონფერენციის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებული იყო უნივერსიტეტის ვებგვერდზე და გავრცელდა სოციალური ქსელების საშუალებითაც, შესაბამისად, კონფერენციაში ბევრმა დაინტერესებულმა პირმა მიიღო მონაწილეობა.

კონფერენციის მონაწილეთა მსჯელობისა და წერილობით მოწოდებული მოსაზრებების შეჯერებით ჩვენი ერთიანი პოზი-ცია **საქართველოს ენობრივი პოლიტიკის სტრატეგიის შესახებ** ასე ჩამოყალიბდა:

საკითხის ისტორია და ამჟამად არსებული პრობლემები:

ქართული ენა ოდითგანვე გადამწყვეტ როლს ასრულებდა ერთიანი ქართული ეროვნული და სახელმწიფოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბების, ასევე, ეკლესიის ერთიანობის შენარჩუნების პროცესში. მრავალი საფრთხის მიუხედავად, ქართული ერთ-ერთია დედამიწის იმ უიშვიათეს ენათა შორის, რომელიც სულ მცირე 23

საუკუნეა უწყვეტად ფუნქციონირებს, როგორც კულტურის ენა და როგორც სახელმწიფო ენა.

დღეს, როდესაც საქართველოს ენობრივი პოლიტიკა მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო ჯერაც განიცდის **საბჭოური იდეოლოგიების** გავლენას, ერთი მხრივ, და გლობალიზაციით განპირობებული დემოგრაფიული ვითარებისა და ინტენსიური ენობრივი კონტაქტების ზემოქმედებას, მეორე მხრივ, ქართული ენის პრობლემები სამ ძირითად მიმართულებად შეიძლება დაიყოს:

- 1. ენის სიწმინდის დაცვა; ქართული ტერმინოლოგიისა და სალიტერატურო ნორმების შემუშავება, სწავლება;**
- 2. ქართულის - სახელმწიფო ენის - სტატუსის შესაბამის მასშტაბებში ფუნქციონირების უზრუნველყოფა და საქართველოში უმცირესობათა ინტეგრაციის ფაქტორის ამოქმედება;**
- 3. ქართულის, როგორც კულტურული ენისა და ქართველთა დედაენის ფუნქციის შენარჩუნება.**

შესაბამისად, სასიცოცხლოდ არსებითია თუ როგორ ვიმოქმედებთ, როგორ გავანაწილებთ პრიორიტეტებს და, რა თანამიმდევრობით განვახორციელებთ აუცილებელ ღონისძიებებს; თქვენს ყურადღებას მივაქცევთ რამდენიმე პრობლემას:

I. „რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის“ შეუსაბამო ინტერპრეტაციის საფუძველზე პოლიტიკოსთა თუ მეცნიერთა ერთი ნაწილი ითხოვს, საქართველომ „რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპულ ქარტიის“ რატიფიცირება მოახდინოს 12-მდე ე.წ. „უმცირესობის ენის“ ჩამონათვალით: ქართველთა თითქმის მესამედს ქართულის ნაცვლად დედაენად უცხადებენ კუთხურ მეტყველებას; შესაბამისად, თუკი ქართული ენა დაკარგავს ქართველთა მესამედის დედაენის ფუნქციას, პარალელურად, საქართველოს ტერიტორიაზე გვიან დასახლებული ეთნიკური ჯგუფების ენებს მიენიჭება „რეგიონული ენის“ სტატუსი, რამდენიმე განაპირა რაიონში უთუოდ შეფერხდება ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, ფუნქციონირების შენარჩუნება/აღდგენა და სწავლება (რასაც ქვეყნისათვის სახიფათო გართულებები შეიძლება მოჰყვეს); აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს კონტექსტში ე.წ. „რეგიონული ენების“ საკითხი ბოლო დროს გააქტიურა **ვენეციის კომისიამ**, რომელსაც

საექსპერტოდ გადაეგზავნა საქართველოს პარლამენტის კანონპროექტი “სახელმწიფო ენის (ენების) შესახებ“.

II. თანამედროვე მსოფლიოში კულტურული და **ეროვნული იდენტობა (მეობა) არსებითადაა დამოკიდებული გლობალურ სივრცეში მოცემული ენის ინტეგრაციის დონეზე**, კერძოდ, თანამედროვე ენა უნდა აღიჭურვოს მეტყველების ტექსტად მქცევი, ტექსტის გამხმოვანებელი, მთარგმნელი კომპიუტერული პროგრამებით და უნდა შეიქმნას მომცველობითი ტექსტის ეროვნული კორპუსი; ამ მიმართულებით სამეცნირო მუშაობა კარგად უნდა დაიგეგმოს სახელმწიფოს მიერ.

III. ბოლო პერიოდში ბევრ უმაღლეს სასწავლებელში სავალდებულო საგნად ქცეულმა “აკადემიურმა წერამ“ ჩაანაცვლა “ქართული მეტყველების კულტურის“ კურსი; **საშუალო სკოლაში აღარ ისწავლება ქართული ენის გრამატიკა** და ენობრივი სისტემის ცოდნის სფეროში ქართველი ბავშვის კომპეტენციას განსაზღვრავს ინგლისური (ან სხვა რომელიმე უცხო) ენის გრამატიკა (და არა მშობლიური ენის გრამატიკა).

არსებითია ისიც, რომ **სათანადო ყურადღება არ ექცევა** ქართველური ზეპირი მეტყველებების შენარჩუნება-შესწავლას, ზოგადად, **ქართველოლოგიის დარგში არსებულ პრობლემებს**; ფაქტობრივად, ყურადღებისა და მხარდაჭერის გარეშეა მიტოვებული საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქართველოლოგიური ცენტრები; არ არის საკმარისი ის ღონისძიებებიც, რაც ტარდება უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში სახელმწიფო ენის ინტენსიური სწავლების მიმართულებით (რის გამოც დღემდე გადაუჭრელ პრობლემად რჩება ქართულ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ სივრცეში ამ მოსახლეობის ინტეგრაციის საკითხი); არ ხდება ქართული ენის სავალდებულოდ დანერგვა უახლეს ტექნოლოგიებსა და გლობალურ ქსელში (კომპიუტერებში ზეპირი ბრძანებებისა თუ დამხმარე ინფორმაციის გაქართულება, სხვა საკომუნიკაციო სისტემების სავალდებულოდ აღჭურვა ქართული შრიფტითა და ტექსტებით, ნაკლებად ქვეყნდება ქართველოლოგიის უახლესი მიღწევები ელექტრონულ თუ დაბეჭდილ ენციკლოპედიებში) და სხვ.

ვფიქრობთ, საქართველოს ენობრივი პოლიტიკის განსაზღვრა უნდა მოხდეს სპეციალისტების, ზოგადად, ინტელექტუალების ფართო სპექტრის მონაწილეობით და არა მხოლოდ ერთი რომელიმე

კონკრეტული ჯგუფის მიერ; კერძოდ, აუცილებელია, გლობალური (და გეოპოლიტიკური) კონტექსტის გათვალისწინებით მომავალში დაიგეგმოს ისეთი ენობრივი პოლიტიკა, რომელიც განამტკიცებს ქართული ენის სახელმწიფოებრივ სტატუსს, ხელს შეუწყობს ქართულენოვანი კულტურის განვითარებას და შეუქცევადს გახდის სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის საქართველოს მოქალაქეთა ინტეგრაციას ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში.

მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილებისათვის, აუცილებელია:

1. ხელისუფლებამ დარგის სპეციალისტების თვალსაზრისით შეჯერებით განსაზღვროს **საქართველოს სახელმწიფოს ენობრივი პოლიტიკის გრძელვადიანი სტრატეგია**; ამის საფუძველზე უნდა შემუშავდეს **ნორმატიული დოკუმენტების პაკეტი** სახელმწიფო ენისა (ენების) და უმცირესობების ენების შესახებ, რომელიც ორიენტირებული იქნება როგორც საქართველოს სახელმწიფო ენის (აფხაზეთში ქართული და აფხაზური ენების) სტატუსის დაცვაზე, ისე ქართველური ენა-კილოების, როგორც **ქართველთა ეროვნული ენის შენაკადების, გადარჩენისა** და საქართველოში არსებული ეთნიკური უმცირესობების **ენობრივი უფლებების დაცვის** აუცილებლობაზე.

აქვე აღვნიშნავთ:

საქართველოს დიდ ნაწილზე ამჟამად არ ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია და საქართველოს მოქალაქეთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა არ იცის საქართველოს სახელმწიფო ენა; ამ ვითარებაში - **საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე**, სახიფათო ტენდენციებსა თუ რისკს გაზრდის **სახელმწიფო ენის (ენების) შესახებ ისეთი კანონის მიღება**, რომელიც ორიენტირებულია მხოლოდ სახელმწიფო ენის სტატუსის იურიდიულ დაცვაზე.

2. ხელისუფლებამ პროგრამული წესით დააფინანსოს ქართული ენის **ტექნოლოგიზება** და **“ქართული ტექსტების ერთიანი ეროვნული კორპუსის” შექმნა**, სადაც შევა როგორც ქართველთა სალიტერატურო ენის, ისე ქართველურ ენა-კილოთა დიალექტური მასალაც; ასეთ შემთხვევაში ქართული ენა არ დაკარგავს კულტურული ენის ფუნქციას; ასევე, აუცილებელია, საქართველოს საჯარო სკოლებისათვის მომზადდეს სასკოლო სახელმძღვანელო

„ქართველთა ენობრივი სამყარო“, რომელშიც წარმოდგენილი იქნება ქართული ენისა და მისი ქვესისტემების ადეკვატური ინტერაქტიული რუკები, ლექსიკა, დიალექტური ტექსტები და ობიექტური ინფორმაცია ქართველთა სამწიგნობრო (ეროვნული) დედაენისა და კუთხური მეტყველებების შესახებ;

3. უმაღლესი სასწავლებლების ყველა სპეციალობაზე აღდგეს სახელმწიფო ენაზე სწავლება; უცხოენოვან კერძო უმაღლეს სასწავლებლებში უნდა გაიხსნას იმავე დარგის ქართული სექტორებიც (რათა დარგობრივი ენის განვითარება და ეკონომიკური სფეროს სპეციალისტების ქართულად განსწავლის ისტორიული ხაზი არ გაწყდეს); **ქართულმა ენამ რომ არ დაკარგოს პრესტიჟული ენის ფუნქცია**, აუცილებელია, ინგლისურენოვან სასწავლო დაწესებულებებში დაინერგოს ქართულენოვანი საგნების სწავლებაც.

შენიშვნა: მე-19 საუკუნიდან მოყოლებული საქართველო იბრძოდა ქართული განათლების რუსულენოვანი სწავლებით ჩანაცვლების წინააღმდეგ. ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს იყო ქვეყნის ინტერესთა ქომაგი ქართველი ინტელიგენციის აღზრდის სურვილით შთაგონებული ბრძოლა და არა საძრახისი ფობია რუსული კულტურის წინააღმდეგ. დღეს იგივე უნდა ვთქვათ სხვა ენების მიმართაც.

ხელისუფლების მიერ **ქართველოლოგიის დარგებზე სტუდენტთა სწავლება** უნდა დაფინანსდეს არა ზოგადად სამსაფეხურიან სახელმწიფო უნივერსიტეტებში, არამედ იმ უმაღლეს სასწავლებლებშიც, სადაც არის სწავლების შესაბამისი ინტელექტუალური და მატერიალური ბაზა და რომელსაც აირჩევს აბიტურიენტი; ასევე, უმაღლეს სასწავლებლებში “აკადემიური წერის“ კურსის გვერდით უნდა დაბრუნდეს სასწავლო საგანი “ქართული მეტყველების კულტურა“, ურომლისოდაც ჩვენ ვერ უზრუნველყოფთ სახელმწიფო ენის ნორმების დანერგვას საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. სასკოლო განათლების სისტემაში უნდა დაბრუნდეს ქართული ენის გრამატიკის სწავლება, რის გარეშეც (როგორც პრაქტიკამ აჩვენა) ვერ ხერხდება ხარისხიანი განათლების მიღება.

პარალელურად, აუცილებელია, შესაფერისი დაფინანსებით დაიგეგმოს სამეცნიერო ექსპედიციები და კვლევები ქართველური

ზეპირი მეტყველებების შენარჩუნების, ზოგადად, ქართველოლოგიის დარგში არსებული პრობლემების გადასაჭრელად და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ ქართველოლოგიურ ცენტრებს; უნდა შეიქმნას ფონდი ქართველოლოგიის უახლეს მიღწევათა უცხო ენებზე თარგმნისა და გავრცელებისათვის.

ს. ბ.
პროფესორი სერგი ვარდოსანიძე, ანდრია პრველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორი

გ. შ.
პროფესორი შურაბ ბერიძე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

გ. შ.
პროფესორი გიორგი სოსიაშვილი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

პროფესორი ავთანდილ დვალაძე, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

თ. ბ.
პოეტი თემურ ჩალაშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის თანადაცემედიორი

მ. შ.
პროფესორი ვახტანგ სარჯანია, ქართული უნივერსიტეტის აკადემიური სამსახურის წევრი

მ. შ.
პროფესორი დიმიტრი წაღირაშვილი, ქართული უნივერსიტეტის აკადემიური სამსახურის წევრი

ა. კ.
პროფესორი მანანა ტაბიძე, ქართული უნივერსიტეტის ქართული ენის მიმართულების ხელმძღვანელი

ა. ბ.
პროფესორი ამირან არბაქელი, ანდრია პრველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაქულტეტის ხელმძღვანელი

პროფესორი მათა მირქაშაშვილი, სოხუმის უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი *გ. შ.*

გ. შ.
პროფესორი ზელა შაგელიშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, იმერეთ-კავკასიური სერთაშორისი სახელმწიფო ცენტრი

ა. ბ.
პროფესორი ალექსი ფრდანიანი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ე. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

პროფესორი ბარბელ ფეტახიძე, ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი

პროფესორი დამანა მელიქიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესორი თემურაზ ზვინაძე, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგნოსტიკური ქვისა და კალატორის ინსტიტუტის დირექტორი

პროფესორი მერაბ ნაჭვებია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი

პროფესორი ჯემალ შიბიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესორი ვაჟა დავითანი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესორი ლეონა ნაჭვებიძე, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესორი თემურაზ ზვინაძე, სათუმბოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესორი მარიამ ცისკარიშვილი, თელავის იკონოგრაფიის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ალექსანდრე რუსევი, კავკასიის სერიალური უნივერსიტეტი

პროფესორი ამირან ლომიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, იბერიულ-კავკასიური სერიალური სამეცნიერო ცენტრი

პროფესორი მარიამ კობერიძე, ვორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესორი მაკა კაკაბიძე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესორი რევაზ მერაბია, ზუგდიდის შოთა მესხის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კრებული გამოსაცემად მომზადდა
საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტის
ქართველოლოგიის ცენტრში

The journal was compiled at the Kartvelology Center of Saint
Andrew the First-Called Georgian University